




„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტის საჯარო განხილვა მონაწილეთა შეფასების ანგარიში 30 ივლისი, ბათუმი

30 ივლისს, ბათუმში, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტისა და NDI-ის მხარდაჭერით „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. საჯარო განხილვის დასრულების შემდეგ, მონაწილეებმა შეფასების კითხვარები შეავსეს, რომელიც მოიცავდა 4 დახურულ და 2 ღია კითხვას. საერთო ჯამში, კითხვარი შეავსო 23-მა მონაწილემ. შედეგები იხილეთ ქვემოთ.


პირველ კითხვაზე, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო განხილვის ზოგად შეფასებას, პასუხები პოზიტიური იყო. მონაწილეთა 57%-მა შეხვედრა შეაფასა როგორც „ძალიან კარგი“, ხოლო 39%-მა როგორც „კარგი“ (იხილეთ გრაფა N1).

გრაფა N1




მეორე დახურულ შეკითხვაზე, რომელიც ეხებოდა შეხვედრის ფორმატს, 30%-მა (7) ფორმატი შეაფასა როგორც „ძალიან კარგი“, 57%-მა (13) როგორც „კარგი“, ხოლო 13%-მა (3) როგორც „დამაკმაყოფილებელი“ (იხილეთ გრაფა N2).

გრაფა N2




მესამე შეკითხვაზე, ჰქონდათ თუ არა მონაწილეებს შესაძლებლობა გაცნობოდნენ კანონის პროექტს შეხვედრამდე, 57%-მა (13) უპასუხა „დიახ“, 35%-მა (8) „არა“, ხოლო 8%-მა (2) უარი განაცხადა პასუხზე (იხილეთ გრაფა N3).

გრაფა N3



ბოლო დახურულ შეკითხვაზე, რომლის მიზანს წარმოადგენდა პრეზენტაციის შეფასება, 18%-მა (4) შეათვათა როგორც „ძალიან კარგი“, 68%-მა (15) როგორც „კარგი“, 14%-მა (3) როგორც „დამაკმაყოფილებელი“, ხოლო ერთმა მონაწილემ არ გასცა კითხვაზე პასუხი (იხილეთ გრაფა N4).

გრაფა N4



როგორც ზემოთ აღინიშნა, კითხვარი შეიცავდა 2 ღია კითხვას:

1. რა უნდა იყოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი მომდევნო სამი წლის განმავლობაში (ჩამოთვალეთ მაქსიმუმ 3)
2. სხვა კომენტარები საკითხზე (აღნიშნული სივრცე მონაწილეებმა ან ცარიელი დატოვეს ან გამოთქვეს ზოგადი კმაყოფილება ჩატარებული შეხვედრით)

მონაწილეებმა პრიორიტეტებად დაასახელეს შემდეგი საკითხები:

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში/სექციაში უფასოდ ვარჯიშის შესაძლებლობა (2)
- ფინანსური რესურსები (8)
- ინფრასტრუქტურა (9)
- ადამიანური რესურსები (3)
- სკოლამდელი ფიზ. განათლება (3)
- სკოლის შემდეგ სპორტული აქტივობებით დაკავების შესაძლებლობა (2)
- მასობრივი სპორტი (6)
- მწვრთნელთა კვალიფიკაცია და ხელფასები (3)
- კერძო სექტორის ნახალისება სპორტში ინვესტიციის განხორციელების მიზნით (3)
- სპორტსმენებისათვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება (3)
- სპორტსმენებისათვის უფასო ტრანსპორტირება
- სპორტული ტურიზმი
- სპორტული კლუბების შექმნა სხვადასხვა სფეროებში
- ფიზიკური განათლება სკოლებში
- ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისა და სტუდენტების უფლებები